ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ

მეორე დისციპლინური კოლეგია ასრულებს რა განხილვის კოლეგიის ფუნქციას, საქმეს განიხილავს შემდეგი შემადგენლობით:

დავით კაკაბაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

დათუნა მოდებაძე - კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ი. ზ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი – 05.04.2011

საჩივრის რეგისტრაციის №036/11

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - ლ. ბ.

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ბ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2011 წლის 5 აპრილს საჩივრით მომართა მოქალაქე ი. ზ. და მოითხოვა ადვოკატ ლ. ბ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ის 2009 წლის 20 თებერვალს შეხვდა ადვოკატ ლ. ბ. და აუხსნა საქმის გარემოებები, კერძოდ მოახსენა რომ, მისი მეუღლე - ზ. პ., რომელიც დასაქმებული იყო შპს ,,ს"-ში გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ასევე განუმარტა რომ შპს ,,ს"-ს ხელმძღვანელი, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მას დაჰპირდა ფულად კომპენსაციას, რაზედაც მოგვიანებით განუცხადა უარი.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას განუმარტა, რომ საქმეში ადგილი ჰქონდა დარღვევებს და შესაძლებელი იყო სისხლის სამართლის კუთხით საქმისწარმოება.

1.4 მოსარჩელე განმარტავს, რომ ის მომსახურების შესახებ ზეპირად შეუთანხმდა ადვოკატს და იმავე დღეს 2009 წლის 20 თებერვალს, ადვოკატის ანგარიშზე პროკრედიტ ბანკში შეიტანა მომსახურების თანხის ნაწილი – 600 ლარის ოდენობით.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას დაჰპირდა რომ დაურეკავდა კვირაში ერთხელ და გააცნობდა საქმის ვითარებას. განმცხადებლის მითითებით ის რამოდენიმეჯერ შეხვდა ადვოკატს, რომელიც აიმედებდა და ეუბნებოდა, რომ საჩივარი მზად ჰქონდა სასამართლოში შესატანად, თუმცა, როგორც განმცხადებელი მიუთითებს საჩივარში, ადვოკატის მიერ საჩივრის წარდგენა სასამართლოში დღემდე არ განხორციელებულა.

1.6 საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ადვოკატი რამდენიმე თვეა არ პასუხობს მის სატელეფონო ზარებს, არ უბრუნებს მის მიერ გადაცემულ საბუთებს და თავს არიდებს მასთან შეხვედრას.

1.7 განმცხადებელმა საჩივარს თან დაურთო პროკრედიტ ბანკის შემოსავლის ორდერი, რომელიც ადასტურებს ლ. ბ. ანგარიშზე თანხის გადარიცხვის ფაქტს. ასევე წარმოადგინა ადვოკატის მიერ გამოგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინებები.

1.8 საჩივრის ავტორმა 2011 წლის 4 აპრილს ეთიკის კომისიას წერილობით წარმოუდგინა ახსნა-განმარტება, რომელშიც მიუთითა, რომ მასსა და ადვოკატს შორის წერილობითი შეთანხმება სამართლებრივ მომსახურებასთან დაკავშირებით არ ყოფილა გაფორმებული და ადვოკატი მოქმედებდა ორდერის საფუძველზე.

1.9 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ როგორც მისთვის არის ცნობილი ადვოკატი რამდენჯერმე შეხვდა შპს ,,ს“ დირექტორს, ასევე განმარტავს რომ ადვოკატის მიერ საჩივარი ან სხვა რაიმე პროცესუალური დოკუმენტი არ ყოფილა წარდგენილი შესაბამის ორგანოში.

1.10 მომჩივანის განმარტებით, ის ცდილობს ადვოკატთან დაკავშირებას და მისგან ითხოვს მის მიერ გადაცემული საბუთების უკან დაბრუნებას, ხოლო ადვოკატი თავს არიდებს შეხვედრას, რასაც საჩივრის ავტორის განცხადებით შედეგად მოსდევს მისთვის ზიანის მიყენება.

1.11 საჩივრის ავტორი ადვოკატისაგან ითხოვს, მის მიერ გადაცემული საბუთებისა და თანხის უკან დაბრუნებას. ასევე, ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებას. თუმცა აქვე მიუთითებს, რომ ადვოკატის მიერ საქმის მასალების და გადარიცხული თანხის უკან დაბრუნების შემთხვევაში ის თანახმაა უარი თქვას საჩივარზე.

1.12 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 27 ივლისის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი ი. ზ. და მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საჩივარს.

1.13 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი მის საქმესთან დაკავშირებით რამოდენიმეჯერ შეხვდა საწარმოს დირექტორს, მაგრამ 2 წლის განმავლობაში, ადვოკატის უმოქმედობით საქმესთან დაკავშირებით სასურველი შედეგი არ დადგა.

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას ჯერ საწარმოს დირექტორთან მოლაპარაკება, ხოლო თუ მასთან ვერ მოხერხდებოდა შეთანხმება, შემდეგ უკვე სასამართლოს გზით საქმისწარმოება ურჩია.

1.15 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საწარმოს დირექტორთან შეთანხმების შედეგად, საწარმო მის შვილს დაუნიშნავდა სარჩოს – ყოველთვიურად 200 ლარს სრულწლოვანებამდე. საჩივრის ავტორის განცხადებით იგი არ დათანხმდა აღნიშნულ შეთანხმებას, რადგან ითხოვდა როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებას, კერძოდ 10 000 ლარს.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს შედგენილი ჰქონდა საჩივარი საგამოძიებო ორგანოებში შესატანად, მან ის პროკურატურაში არ შეიტანა.

1.17 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან სხვა საქმესთან დაკავშირებითაც მიმართა კონსულტაციისთვის ადვოკატ ლ. ბ.

1.18 საჩივრის ავტორი ადვოკატისაგან ითხოვს, როგორც საბუთების, ასევე საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნებას.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 დისციპლინური კოლეგიის მიერ, ადვოკატ ლ. ბ. გასაუბრება მოხდა, 2011 წლის 4 მაისს, რა დროსაც მის მიერ წერილობით იქნა შედგენილი ახსნა–განმარტება, რომლის თანახმადაც, ის ი. ზ. მიერ წამოყენებულ პირობაზე აცხადებს თანხმობას, კერძოდ მიუთითებს რომ თანახმაა საქმის მასალები და თანხა – 600 ლარის ოდენობით, უკან დაუბრუნოს მომჩივანს. ამასთან მიუთითებს, რომ 10 მაისს წერილობით წარმოადგენდა დეტალურ ახსნა–განმარტებასა და მის ხელთ არსებულ სხვა მასალებს.

2.2 ადვოკატმა ლ. ბ., 2011 წლის 4 მაისს, წარმოადგინა დამატებითი ახსნა–განმარტება, რომელშიც მის მიერ უარყოფილ იქნა მორიგების პირობები, ამასთან განმარტა, რომ 2009 წლის 20 თებერვალს ის შეხვდა ი. ზ., მისი მეუღლის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით იურიდიული კონსულტაციის გასაწევად.

2.3 ადვოკატმა აღნიშნა, რომ მან კლიენტს გაუწია იურიდიული კონსულტაცია და შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების საფასურზე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან გამოწერა ორდერი და ამის შემდეგ დაიწყო საქმიანობა, კერძოდ: მან საქმის მწარმოებელ ორგანოში წარადგინა ორდერი, გადაიღო საქმის მასალების ქსეროასლები და ამის შემდეგ გამოძიების წინაშე დააყენა ის საკითხები, რომელიც მისი განმარტებით საჭირო იყო სასურველი შედეგის მისაღწევად.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ის აწარმოებდა მოლაპარაკებებს შპს „ს“ ხელმძღვანელობასთან. ადვოკატი მიუთითებს, რომ მის მიერ შესრულებული ყველა მოქმედება ხორციელდებოდა ი. ზ. შეთანხმებით.

2.6 ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან შპს „მაგთიკომი“–დან წარმოადგინა 2011 წლის თებერვალი–მარტის დეტალური ამონაწერი და მიუთითებს, რომ მოცემულ მონაცემებში არ ფიქსირდება მის კუთვნილ ტელეფონზე, საჩივრის ავტორის მიერ განხორციელებული ზარი.

2.7 ადვოკატმა თავის ახსნა–განმარტებას ასევე თან დაურთო მის მიერ სხვადასხვა უწყებებში გაგზავნილი წერილების ქსეროასლები.

2.8 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის 2011 წლის 27 ივლისის სხდომაზე, გამოცხადდა ადვოკატი ლ. ბ. და მისი წარმომადგენელი გ. ტ.

2.9 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი მას ემალებოდა და საქმის ვითარების შესახებ ინფორმაციას არ აწვდიდა მცდარია, რადგან ადვოკატი აღნიშნულ ინფორმაციას აწვდიდა როგორც მომჩივანს, ასევე მის წარმომადგენელს.

2.10 ადვოკატის განცხადებით, მან განახორციელა კლიენტის ინტერესების კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა. კერძოდ: ადვოკატმა საჩივრის ავტორის სახელით, განცხადებით მიმართა საგამოძიებო ორგანოებს და დაადგინა, რომ საწარმოს მძღოლს არ გააჩნდა მართვის მოწმობა და შესაბამისად კლიენტის ინტერესების დასაცავად მოიპოვა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, ასევე ადვოკატმა მრავალი მცდელობის შედეგად, მიაღწია შეთანხმებას საწარმოს დირექტორთან საჩივრის ავტორის არასრულწლოვანი შვილისათვის სარჩოს დანიშვნის შესახებ, მაგრამ საჩივრის ავტორმა არ მოიწონა აღნიშნული შეთანხმების პირობები.

2.11 ადვოკატის განმარტებით, ამავე დროს საჩივრის ავტორი ადვოკატისაგან სხვა საქმესთან დაკავშირებით იღებდა სატელეფონო კონსულტაციებს, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კლიენტს მის მიმართ გააჩნდა ნდობა.

2.12 ადვოკატის განცხადებით, მან საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ სახეზე იყო სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები, რაც გახდებოდა საწარმოს მძღოლისა და დირექტორის პასუხისმგებლობის საფუძველი, მაგრამ მომჩივანმა განუმარტა ადვოკატს, რომ მისი თვითმიზანი იყო თანხის ამოღება და არა გარკვეულ პირთა ჯგუფის სისხლისსამართლის პასუხისგებაში მიცემა.

2.13 ადვოკატის წარმომადგენლი არ ეთანხმება საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებას, რადგან საპროცესო კოლეგიამ ჩათვალა მის კომპეტენციად ადვოკატის საქმიანობის ხარისხისა და სტრატეგიის შეფასება. ასევე, ადვოკატის წარმომადგენელი არ ეთანხმება საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების №036/11 6.13–ე პუნქტში გამოყენებულ ფრაზას – „დროულ დაკმაყოფილებას“, რადგან მიაჩნია, რომ მოთხოვნის დროული დაკმაყოფილება დამოკიდებულია არა ადვოკატზე, არამედ საქმის მწარმოებელ კომპეტენტურ ორგანოზე.

2.14 ადვოკატი არ ცნობს საჩივარს, თანახმაა დააბრუნოს საჩივრის ავტორის დოკუმენტაცია, მაგრამ საადვოკატო მომსახურებისთვის მიღებული ჰონორარის დაბრუნებაზე უარს აცხადებს.

3 დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2011 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ,,ადვოკატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“, ,,ბ“, ,,ე“ პუნქტების, მე-6 მუხლისა და ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3, მე-5, მე-8 მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე.

3.3 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატი, ი. ზ. საქმეს აწარმოებდა 2009 წლის 20 დეკემბრიდან. ამ პერიოდის განმავლობაში, ადვოკატს, მიუხედავად კლიენტის მოთხოვნისა საჩივარი არ წარუდგენია შპს ,,ს" მიმართ. შესაბამისად, კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია.

3.4 საპროცესო კოლეგია მხარეთა ახსნა - განმარტებებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ მართალია ადვოკატი რამოდენიმეჯერ შეხვდა მოწინააღმდეგე მხარის დირექტორს, დავასთან დაკავშირებით, მაგრამ 2009 წლის თებერვლიდან 2011 წლის აპრილამდე პერიოდი არ წარმოადგენს გონივრულ ვადას დავის მორიგებით დამთავრებისათვის და ფაქტობრივად გამორიცხავს ამ მხრივ რაიმე შედეგის მიღწევის შესაძლებლობას, მაშინ როდესაც მხარემ არაერთხელ მიუთითა სხვა საპროცესო მოქმედების განხორციელებაზე – მოწინააღმდეგე მხარის მიმართ საჩივრის წარდგენაზე, რაც ადვოკატს არ განუხორციელებია.

4 ფაქტობრივი გარემოებები

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემობები:

4.1.1 ადვოკატი ლ. ბ., წარმოადგენდა ი. ზ. ინტერესებს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ი. ზ. 2011 წლის 5 აპრილის საჩივარი (აბზაცი 1.3; 1.4; 1.8);
2. ადვოკატ ლ. ბ. 2011 წლის 4 მაისის ახსნა–განმარტება (აბზაცი 2.2; 2.3; 2.4) ;

4.1.2 ადვოკატი ლ. ბ. აწარმოებდა მოლაპარაკებებს შპს „ს“ დირექტორთან ი. ზ. შვილისათვის სრულწლოვანების მიღწევამდე სარჩოს დანიშვნის თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ი. ზ. 2011 წლის 5 აპრილის საჩივარი (აბზაცი 1.9; 1.13; 1.15);

2. ადვოკატ ლ. ბ. 2011 წლის 4 მაისის ახსნა–განმარტება (აბზაცი 2.10);

4.1.3 ადვოკატმა ლ. ბ., შპს „ს“ დირექტორთან მიაღწია შეთანხმებას, რომელიც არ მოიწონა ი. ზ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ი. ზ. 2011 წლის 5 აპრილის საჩივარი (აბზაცი 1.15);

2. ადვოკატ, ლ. ბ. 2011 წლის 4 მაისის ახსნა–განმარტება (აბზაცი 2.10).

4.1.4 ადვოკატი ლ. ბ. საჩივრის ავტორს კონსულტაციას უწევდა სხვა საქმესთან დაკავშირებითაც.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ი. ზ. 2011 წლის 5 აპრილის საჩივარი (აბზაცი 1.17);

2. ადვოკატ, ლ. ბ. 2011 წლის 4 მაისის ახსნა–განმარტება (აბზაცი 2.11).

4.2 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.2.1 ადვოკატის უმოქმედობით საქმესთან დაკავშირებით კლიენტისათვის სასურველი შედეგი არ დადგა, კერძოდ ადვოკატმა არ მიმართა პროკურატურას საჩივრით.

აღნიშნული გარემოება ეთიკის კომისიას მიაჩნია სადავოდ, ვინაიდან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

4.2.1.1 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი არ ახორციელებდა კვალიფიციურ წარმომადგენლობას, ვინაიდან ორი წლის განმავლობაში საქმესთან დაკავშირებით მისთვის სასურველი შედეგი არ დადგა. ასევე, ადვოკატმა არ მიმართა პროკურატურას საჩივრით.

4.2.1.2 ადვოკატის განმარტებით, მან განახორციელა კვალიფიციური წარმომადგენლობა, რაც გამოხატა იმაში, რომ გაეცნო საქმის მასალებს და ცდილობდა საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებების მოპოვებას, რასაც მოწმობს ცნობა და განცხადებები, რომლებიც შედგენილია საჩივრის ავტორის სახელით. ამასთან, იგი კლიენტის სურვილის შესაბამისად ცდილობდა დავის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას. მას შედგენილი ჰქონდა საჩივარი, მაგრამ ვინაიდან კლიენტის ინტერესს არ წარმოადგენდა კონკრეტულ პირთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დადგომა, არ მიმართა პროკურატურას.

4.2.1.3 ეთიკის კომისიია მიიჩნევს, რომ საქმის გარემობებიდან გამომდინარე არ დგინდება, რომ კლიენტისათვის სასურველი შედეგის მიუღწევლობა გამოწვეული იყო ადვოკატის უმოქმედობით, ვინაიდან მან მთელი რიგი მოქმედებები განახორციელა იამზე ზედგენიძის ინტერესების დასაცავად. ასევე, კლიენტის ინტერესს მოცემულ საქმეში არ წარმოადგენდა გარკვეულ პირთა სისხლისამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დადგომა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ი. ზ. ახსნა-განმარტება (აბზაცი 1.15, 1.17);

2. ადვოკატ, ლ. ბ. ახსნა–განმარტება (აბზაცი 2.10, 2.11. 2.12; სხდომის ოქმი, გვ.6, აბზაცი მე-7, მე-10; გვ.მე-10, აბზაცი მე-11).

4.2.2. ადვოკატი ლ. ბ. საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციას არ აწვდიდა კლიენტს, თავს არიდებს მასთან შეხვედრებს და არ უბრუნებს საქმის მასალებს.

აღნიშნული გარემოება ეთიკის კომისიას მიაჩნია სადავოდ, ვინაიდან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

4.2.2.1 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი თავს არიდებდა მასთან შეხვედრებს და არ აწოდებდა ინფორმაციას საქმესთან დაკავშირებით, ასევე არ უბრუნებდა საქმის მასალებს.

4.2.2.2 ადვოკატის განმარტებით საქმესთან დაკავშირებით მას მუდმივი კონტაქტი ჰქონდა თავის კლიენტთან ან მის წარმომადგენელთან, რაც შეეხება საბუთების გადაცემას იგი მზად იყო განხილვის სხდომაზევე დაებრუნებინა საბუთები კლიენტისათვის.

4.2.2.3 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ როგორც განხილვის კოლეგიის სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტებებიდან დგინდება ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობდა კონტაქტი, ადვოკატი თავს არ არიდებდა მასთან შეხვედრებს და ი. ზ. გადასაცემი საბუთები წარმოადგინა ეთიკის კომისიის სხდომაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ი. ზ. ახსნა-განმარტება (აბზაცი 1.5, 1.9, 1.17; სხდომის ოქმი, გვ.მე-7, აბზაცი მე-12, გვ.13 აბზაცი 1-ლი;);

2. ადვოკატ ლ. ბ. ახსნა-განმარტება (აბზაცი 2.9, 2.11, 2.14; სხდომის ოქმი, გვ.მე-4, აბზაცი მე-5; გვ.მე-6, აბზაცი მე-7; გვ.მე-7, აბზაცი მე-3; გვ.მე-10, აბზაცი მე-11; გვ.მე-13, აბზაცი მე-8).

II სამოტივაციო ნაწილი

5 შემაჯამებელი დასკვნა

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია თვლის, რომ ადვოკატ ლ. ბ. მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6 სამართლებრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისიამ იმსჯელა და თვლის, რომ ადვოკატ ლ. ბ. მიერ არ არის დარღვეული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდეგი მუხლები:

ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის მე–2 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია საქმის წარმოებასთან“

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–3 მუხლი: „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა“.

დ)ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 პუნქტი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

6.2 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე იმოქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით “ადვოკატთა შესახებ” (მუხლი – 2,5,6) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონითა და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად, აწარმოოს მოწინააღმდეგე მხარესთან მოლაპარაკებები და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის.

6.4 ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად არ დასტურდება, ადვოკატის მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დარღვევა. განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა არასათანადოდ განახორციელა წარმომადგენლობა და არაფერი გააკეთა კლიენტის ინტერესების დასაცავად.

6.5 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. კერძოდ: ადვოკატმა აწარმოა მოლაპარაკებები შპს “ს” დირექტორთან, რომელთანაც მიაღწია შეთანხმებას, რაც საჩივრის ავტორმა შემდგომ აღარ მოიწონა; კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე აწარმოა საქმეები სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოებში, სადაც მან მოიპოვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები,

რაც შეიძლება გამხდარიყო შპს „ს“ მძღოლისა და დირექტორის მიმართ, სისხლის სამართლის დევნის დაწყების საფუძველი.

6.6 ეთიკის კომისია არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატს ბრალი მიუძღვის იმაში, რომ საქმეზე ჯერ კიდევ არ დადგა კლიენტისათვის სასურველი შედეგი და აღნიშნავს, რომ ადვოკატი ვერ მოახდენს ზემოქმედებას, საგამოძიებო ორგანოებში, საქმის დროულად დამთავრებაზე.

6.7 ეთიკის კომისიას მნიშვნელოვნად მიაჩნია განმარტოს, რომ საგამოძიებო ორგანოებში, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის სასურველი კონკრეტული შედეგის მიუღწევლობა, არ ჩაითვლება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევად, თუ ადვოკატმა ამ შედეგის მისაღწევად, კლიენტის მიმართ განახორციელა კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა.

6.8 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ საქმეში მოყვანილი ახსნა-განმარტებებიდან ირკვევა, რომ ადვოკატს კლიენტის მიმართ არ დაურღვევია ნდობის პრინციპი, ვინაიდან ი. ზ., სატელეფონო კონსულტაციის მიღების მიზნით, რომელიც ეხებოდა სხვა საქმეს, ურეკავდა ადვოკატ ლ. ბ., რაც ნიშნავს იმას, რომ კლიენტს ადვოკატის მიმართ გააჩნდა ნდობა.

6.9 ეთიკის კომისიმ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (დისციპლინური საქმე № 074/10) დადგინა: ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. ეთიკის კომისიის აზრით, ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე“.

6.10 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატს მასთან არ ჰქონდა კავშირი და საქმის მსვლელობის შესახებ არ აწვდიდა ინფორმაციას, რადგან მხარეების ახსნა-განმარტებებით ირკვევა, რომ ადვოკატს ხშირად ჰქონდა შეხვედრები და კონტაქტი როგორც მომჩივანთან, ასევე მის წარმომადგენელთან.

6.11 ეთიკის კომისიამ ასევე იმსჯელა მომჩივნის მიერ მითითებულ გარემოებაზე, რომლის თანახმად ადვოკატმა არ მიმართა საჩივრით პროკურატურას ან სხვა ორგანოს, რომ საქმესთან დაკავშირებით დამდგარიყო კონკრეტული შედეგი. განხილვის კოლეგიას მნიშვნელოვნად მიაჩნია განმარტოს, რომ მის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებირივი შეფასება. ეთიკის კომისიას არ შეუძლია შეაფასოს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დასაცავად შედგენილი დოკუმენტების სამართლებრივი დასაბუთებულობა ან მისთვის მიცემული

რჩევის შინაარსი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა კანონსაწინააღმდეგო შინაარსისაა.

6.12 ეთიკის კომისია დაეყრდნო მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებას (განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten)“ ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ ითვალისწინებს მისი კვალიფიკაციის ხარისხს”

6.13 საადვოკატო მომსახურების ჰონორარის უკან დაბრუნების მოთხოვნასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისია მნიშვნელოვნად მიიჩნევს მიუთითოს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს“. შესაბამისად, ეთიკის კომისიას არ გააჩნია კომპეტენცია იმსჯელოს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული საადვოკატო მომსახურების საფასურის დაბრუნების თაობაზე, რადგან მოცემული საკითხი წარმოადგენს ადვოკატსა და კლიენტს შორის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას. აღნიშნული მოთხოვნით მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო დავა აწარმოოს ადვოკატის მიმართ.

6.14 ეთიკის კომისიამ ადვოკატ ლ. ბ. ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ადვოკატთა ქცევის სტანდარტების დარვევა, შესაბამისად არ არსებობს ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ლ. ბ., სიითი ..., დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კოლეგიის თავმჯდომარე	დავით კაკაბაძე
კოლეგიის წევრი	დათუნა მოდებაძე
კოლეგიის წევრი	გიორგი ბეგიაშვილი